

12th Century Political Reality and the Argument of Oldness
The Knight in the Tiger's Skin
XII საუკუნის პოლიტიკური რეალობა და სიბერის არგუმენტი
„ვეფხისტყაოსანში“

Inga Sanikidze

PhD in Philology, Associate Professor at
Tbilisi Ivane Javakhishvili State University

e-mail: inga.sanikidze@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8031-9528>

Abstract: In *The Knight in the Tiger's Skin*, as one of the significant segments of Rustaveli's worldview we consider to be the enigmatic form of Anthroponi Parsadani. Our point of view somewhat contradicts the viewpoint established in the Georgian scientific literature, which originates from Yu. Abuladze's works and considers the creative anthroponyms used in the poem to be derived from the Persian language. The same opinion was also shared by Z. Gamsakhurdia with factual directness. In our understanding, in the anthroponym *Parsadani*, Rustaveli refers to the ancient Hebrew lexical unit Pharisee, and that the character's predecessor is considered to be Giorgi III. It can be seen that, despite the creative conventionality, in the central character of *The Knight in the Tiger's Skin*, Tariel, the tragedy of Demna Uplistuli (Prince) can be seen. We believe that the feudal law violated by Demetre I or George III, the removal of Prince Demetre from the Royal Throne or the gouging out of his eyes are dominant among Rustaveli's concepts. It is in this context that the argument of oldness, scattered in the two stories of *The Knight in the Tiger's Skin*, is considered.

In particular, the lines of the formulation of the essence of death or the explanation of honorable behavior given in the Will of the Arab lad [/Avtandil], should be directly related to the words spoken by the King about oldness and passing away at the Rostevan's meeting. The historical and literary facts are that Giorgi-Farsadan is an autocratic King and Demna-Tariel, brought up in the family of Amirspasalar (Army Commander), is a young man deceived by the King [/uncle], who, is still underage and does not even realize the perfidiousness of the King's plan.

The storyline of *The Knight in the Tiger's Skin* is quite colorful, although, brilliantly done. In the whole fabric of the poem, Rustaveli's concepts outline in parts and in this context, the theme of oldness or the argument of "monasticism" used by the Kings of India and Arabia is one of them; and it is highly probable that there is something essential connecting it with the reality of the enthronement of a woman by George III in his own lifetime.

Key words: „Knight in the Tiger’s Skin“, argument of old age, worldview of Rustveli

ინგა სანიკიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: inga.sanikidze@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8031-9528>

აბსტრაქტი: „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტად ანთროპონიმ ფარსადანის ენიგმად ქცეული ფორმა მიგვაჩნია. ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისი რამდენადმე ეწინააღმდეგება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებულ შეხედულებას, რომელიც სათავეს იუ. აზულაძის შრომებიდან იღებს და პოემაში გამოყენებულ მხატვრულ ანთროპონიმებს სპარსული ენიდან მომდინარედ თვლის. იგივე შეხედულება ფაქტობრივი პირდაპირობით გაიზიარა ზ. გამსახურდიამაც. ჩვენეული წაკითხვით ანთროპონიმში ფარსადანი რუსთველი ძველებრაულ ლექსიკურ ერთეულ ფარისეველს გულისხმობს და პერსონაჟის წინარესახედ გიორგი III-ს მოიზრებს. ჩანს, რომ, მხატვრული პირობითობის მიუხედავად, „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალურ გმირში, ტარიელში, დემნა უფლისწულის თავს დატრიალებული ტრაგედია იკითხება. ვფიქრობთ, რომ დემეტრე I-ისა თუ გიორგი III-ის მიერ დარღვეული ფეოდალური სამართალი, დემეტრე უფლისწულის სამეფო ტახდიდან ჩამოშორება თუ მისი თვალთა დათხრად-დასაჭურისება რუსთველის კოცეპტთა შორის დომინანტურია. სწორედ ამ კონტექსტითაა დანახული „ვეფხისტყაოსანის“ ორ ამბავში გაბნეული სიბერის არგუმენტიც.

კერძოდ, არაბი მოყმის (ავთანდილის) ანდერძში სიკვდილის არსობის ფორმულირებისა თუ ღირსეული ქცევის ახსნა-განმარტების სტრიქონები პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს როსტევეანის თათბირზე სიბერისა და წარმავლობის თაობაზე მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. ისტორიული და ლიტერატურული ფაქტებია ის, რომ გიორგი-ფარსადანი თვითმპყრობელი მეფეა, ხოლო ამირსპასალარის ოჯახში აღზრდილი დემნა-ტარიელი მეფისაგან (/ზიდისაგან) მოტყუებული ყმაწვილკაცი, რომელიც სრულწლოვანების ასაკშიუწევნელი ვერც კი აცნობიერებს მეფის ჩანაფიქრის სიმუხთლეს.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური ფარდაგი საკმაოდ ჭრელია, თუმცა ვირტუალურად შესრულებული. პოემის მთლიან ქსოვილში ნაწილ-ნაწილ იკვეთება რუსთველური კონცეპტები, ამ კოტექსტში კი სიბერის თემა თუ

ინდოეთისა და არაბეთის მეფეთა მიერ გამოყენებული „ბერობის“ არგუმენტი ერთ-ერთია და მაღალი ალბათობით გიორგი III-ის მიერ საკუთარ სიცოცხლეშივე ქალის გამეფების რეალობასთან რაღაც მნიშვნელოვანი კავშირი აქვს.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, სიბერის არგუმენტი, რუსთველის მსოფლმხედველობა

შესავალი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია, რაც შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მხატვრული სინამდვილის დაკავშირება ისტორიულ სინამდვილესთან არ არის საძნელო საქმე“ (კეკელიძე, ბარამიძე, 1987, 249). ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით მაინც მეტის შემჩნევა და გააზრება საჭირო, რათა რუსთველის, როგორც XII ს-ის ისტორიული მოვლენების მოწმისა და მონაწილის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოზიციების დასაანხად ურყევი საფუძველი გვქონდეს.

პოემაში რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სეგმენტი ანთროპონიმ ფარსადანის ენიგმატ ქცეული ფორმა მოჩანს. ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისი არცთუ მცირეოდენად ეწინააღმდეგება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებულ შეხედულებას, რომელიც სათავეს ი. აბულაძის შრომებიდან იღებს. მეცნიერი პოემაში გამოყენებულ ადამიანთა სახელებს (და არა მხოლოდ მათ) სპარსული ენიდან მომდინარედ თვლის და წერს: „ყველაზე უწინ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პირთა საკუთარი სახელები როდი არიან ჩვეულებრივი პოპულარული საკუთარი სახელები, არამედ ისინი, უმეტეს ნაწილად, წარმოადგენენ ეპითეტებს ანდა მთელ წინადადებებს, ან ხმარებული არიან მრავლობითი რიცხვის ფორმით... ფარსადან — სპარ. ნიშნავს ფილოსოფოსთაგან ან ბრძენთაგანს, და არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან – ბრძენი“ (აბულაძე, 1967: 180). იუ. აბულაძის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმების სპარსული გენეტიკისა და ფორმის შესახებ უთუმცაოდ გაიზიარა ზ. გამსახურდიამ და დასახელებული ფაქტი ამგვარი ინტერპრეტაციით შემოგვთავაზა: „ი. აბულაძის თქმით, სიტყვა „ფარსადან“ სპარსულად ნიშნავს „ბრძენთაგანს“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნესტანი არის ასული სიბრძნისა, მაგრამ რომელი სიბრძნისა? სიტყვა „ფარს“-ის ეტიმოლოგია უკავშირდება ძველბერძნული მითოსის „პერსეუსს“, „პერსესს“, რაც ძველადმოსავლურ ვარსკვლავთმეტყველებას განასახიერებს“; ნაშრომის სხვა ადგილას კი ზ. გამსახურდია იტყვის: „ვეფხისტყაოსანში ფარსადანი, ანუ აღმოსავლური ვარსკვლავთმეტყველებითი სიბრძნე მფლობელია თითქმის მთელი ინდოეთისა (მისტერიათა საუფლოსი)“ (გამსახურდია, 1991: 268, 271).

ჩვენეული წაკითხვით ანთროპონიმში ფარსადანი რუსთველი ძველებრალ ლექსიკურ ერთეულ ფარსს / ფარისეველს გულისხმობს და პერსონაჟის წინარესახედ გიორგი III-ს მოიზრებს. ვფიქრობთ, რომ მხატვრული პირობითობა თუ ამბავთა გადათამაშება ხელს არც იმას უშლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალურ გმირში, ტარიელში, დემნა უფლისწულის თავს დატრიალებული ტრაგედია ამოვიკითხოთ. დასახელებული საკითხი გაცილებით ფართო მსჯელობას მოითხოვს, ამ ეტაპზე კი პოემის რამდენიმე პასაჟსა თუ კონტექსტზე შევჩერდებით.

მეთოდები. საკვლევ თემაზე მუშაობისას ძირითადად შერჩეულია კომპარატივისტული მეთოდი. ერთმანეთთანაა შედარებული ქართული ისტორიული წყაროები და ის მხატვრული ფაქტები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში იჩენს თავს. მიზნობრივადაა შერჩეული საკვლევი მასალა (ძირითადად შეეხება „სიბერის“ არგუმენტს რუსთველის პოემაში). შედარებით მეთოდთან ერთად გამოყენებულია აღწერითი მეთოდი და ანალიტიკური მიდგომა. საკითხის პრაქტიკული სელექციისას ნათელი იყო, რომ არსებობდა საკმარისი მხატვრულ-ლიტერატურული თუ ისტორიული მასალა, რომელსაც მეცნიერული ძიება უნდა დაფუძნებოდა. ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ეს ნაწილი პირდაპირ შეესატყვისება სამეცნიერო მიზანს – გაირკვეს, რა მიმართებებია რუსთველის ეპოქის, ანუ XII საუკუნის, ისტორიულ რეალობასა და ავტორის მსოფლმხედველობას შორის.

მსჯელობა. დასაწყისში მოკლედ ვიტყვით იმას, რომ XII საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ვითარება მაინცადამაინც სახარბიელო არ არის. დავით აღმაშენებლის პირდაპირი და თანაც მამრობითი ხაზი (დავით IV – დემეტრე I – დავით V – დემეტრე-დემნა) წყდება და მის ადგილს გიორგი III (დემეტრე I-ის უმცროსი ვაჟი) და მისი მხოლოდშობილი ქალი - თამარი - იკავებს. ისტორიული ფაქტია, რომ ქართული ფეოდალური სამართლისა და მამაპაპური დაწერილ-დაუწერელი კანონი სამეფო მემკვიდრეობის მამიდან უფროს, პირველშობილ, ძეზე გადაცემას გულისხმობდა. ლექსიკური ერთეული *პირმშოც* ამავე სამართლის ტერმინოლოგიური დატვირთვის მქონე სიტყვა მოჩანს. პირველად გაჩენილი ვაჟიშვილის უპირატესობას ისტორიულად არაერთი საფუძველი განაპირობებდა. სამართლის ეს მუხლი ნაყოფშივე უღებდა ბოლოს მოშულლარი მემკვიდრეების საკითხს და აცხადებდა, რომ სამეფოს ერთიანობისათვის ძმათა შორის ქიშპი თუ პოლიტიკური ბრძოლები დაუშვებელი იყო. ქართველმა ისევე, როგორც დანარჩენმა ცივილიზებულმა სამყარომ, კარგად იცოდა, რა მოჰქონდა ან რა მოაქვს ძალაუფლების დაუოკებელ წყურვილს. ლეონტი მროველის თხზულების იმ თავში („ამბავი ქართლისა“), რომელშიც ავტორი ქართლის ქვეყნის ეთნარქებსა და ძველთუძველეს ვითარებაზე საუბრობს, ვიგებთ, რომ ბიბლიურ თარგამოსს

რვა შვილი ჰყავს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ვაჟი – ქართლოსი – მკვიდრდება ქართლის მთაზე და „მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (მროველი, 1955: 8), ხოლო ქართლოსის პირმშო მცხეთოსი, „რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ რქვან არმაზი“ (იქვე: 9); შემდგომად კი მცხეთოსის პირველად შობილი ძე – უფლოსი – იღებს მამის მემკვიდრეობას: „უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას“ (იქვე: 10). აშკარაა, რომ მამის სამყოფელში დამკვიდრების უფლება ქართლის ქვეყანაში უფროს ვაჟზე ჯერ კიდევ მაშინ გადადის, როცა ნაწილობრივ მითოსურ პერიოდში ჩავყავართ ლეონტი მროველს და ქართველთა ცხოვრების ქრონომეტრაჟი დროს ვერ ზომავს. ქართლოს-მცხეთოს-უფლოსის დინასტიური ხაზი წარსულიდან მომავლისაკენ პირმშოობის პრინციპით მოემართება.

ახლა ბაგრატიონთა ეპოქას მივადევნოთ თვალი. ჩანს, რომ ამ კონტექსტში, საზოგადოების პატრიარქალურობიდან გამომდინარე, ქალის თემა საერთოდ არ განიხილებოდა, ამას ბაგრატიონ მეფეთა დინასტიური ხაზის ის ტაბულებიც დაადასტურებს, რომლებიც ისტორიული წყაროების მონაცემთა მიხედვითაა აწყობილი და გამოცემული მ. სურგულაძისა და მ. ქავთარიას მიერ (სურგულაძე, 1995). სქემატური მონაცემებიც ნათელს ხდის, რომ ქართული საისტორიო წყაროები, მაგალითად, პირველი კლარჯი ბაგრატიონის – აშოტ I „დიდი“ კურაპალატის – ერთადერთი ასულის სახელს საერთოდ არ იცნობს, განსხვავებით მისი ვაჟებისაგან (ადარნარსე, ბაგრატი, გუარამი). ამ ასულის სახელს არც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ადასტურებს. მეტიც, ჰაგიოგრაფიულ ტექსტში აშოტის ასულს საერთოდ ვერ ვხედავთ. ასეთივე მდგომარეობაა დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ქალიშვილის შემთხვევაშიც. ტაბულაში მითითებულია, რომ ეს ასული [ანთროპონიმის გარეშე] იყო „ოვსეთში გათხოვილი (თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, მისი შთამომავალი იყო დავით სოსლანი)“ (სურგულაძე, 1995: 48). ვფიქრობთ, რომ მემატიაზეთა ამგვარი პოზიცია არსებითად უძველესი პერიოდის ქართულ ეთნოკულტურულ თუ სამართლებრივ საფუძველს ემყარებოდა და მას თხზულებათა ავტორების მხრიდან მხოლოდ ისტორიათა თხრობის შემოკლება არ განაპირობებდა.

მეორე და არანაკლებ ღირებული ფუნდამენტი ფეოდალური სამართლისა, როგორც ჩანს, ბაგრატიონთა იზოთეისტური იდეა იყო. მართლაც, „ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეა ისე შეეხარდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას, რომ არასოდეს, თვით ყველაზე უფრო გამწვავებული კრიზისების პირობებშიც კი, საქართველოში სამეფო დინასტიის შეცვლის საკითხი არ დამდგარა“ (სურგულაძე, 1955: 13). „იესეიან-დავითიან-სოლომონიანის“ ხაზიც მკვეთრადაა განსაზღვრული, ის უფროსი ვაჟისაკენ მიემართება, ღვთაებრივი იდეის ჩასახლება თუ

მრონცხეზულობა უპირველესად პირმშოზე გადადის და ამიტომაც წარმოადგენს იგი უფლის აღმატებულ სახეს.

ზემთ ნათქვამიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ დემეტრე I-ისა თუ გიორგი III-ის მიერ აწეწილი ფეოდალური სამართალი, დემეტრე უფლისწულის სამეფო ტახდიდან ჩამოშორება თუ მისი თვალთა დათხრა და დასაჭურისება („თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“ — ლაშა გიორგის მატიანე, 1955: 367). რუსთველის კოცეპთა შორის დომინანტურია და პოემის სიუჟეტურ ქარგაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. სწორედ ამავე კონტექსტში გავიაზრებთ „ვეფხისტყაოსანის“ ორ ამბავში გაზნეულ სიბერის არგუმენტსაც. ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი ის კვანძია, რომელიც არაბეთისა და ინდოეთის ძაფთა შორის იხლართება. ვფიქრობთ, რომ პოემის გააზრებისას ამის უგულვებელყოფა არ ღირს, რადგან საინტერესო პარალელი ჩნდება – სიბერის თემის წინ წამოწევა. საოცარია, რამდენი რამ შეიძლება მოიფიქროს ადამიანმა საკუთარი მრუდე ქცევის გასამართლებლად. ასაკის გამო თავის მოსაწყლება-მოკატუნება არაბეთისა და ინდოეთის ამბებში ერთ ბირთვად იკვრება, სათქმელი ერთია და ამიტომ... პატივისცემას ადამიანში პიროვნულ ღირსებათა ერთობლიობა იმსახურებს და არა – ოდენ კიტრივით დაბერება (ავთანდილი – „მე იგი ვარ, ვინ სიცოცხლეს არ ამოვკვრებ კიტრად ბერად“: 153, 777); არადა შევხედოთ, რა ოსტატობით იყენებენ არაბი და ინდოელი მონარქები სიბერეს სათავისოდ, მოახლოებული სიკვდილით ისაცოდავებენ თავს.

„მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია“ [15, 36],-
იტყვის როსტევანი.

უთუმცაოა, რომ არაბთა და ინდოთა მეფეების სიბერის არგუმენტი მათი ღირსების სასარგებლოდ არ გამოდგება, როცა ვხედავთ, რა დამოკიდებულება აქვს სიკვდილის მიმართ ავთანდილს თავის ანდერძში. „ყოველთა დამამხოველი“ თუ „სუსტისა და ძალ-გულოვანის“ გამთანაბრებელი არსის წინაშე ვაჟკაცი არ უნდა შედრკეს, რადგან „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ [156, 791]. ასე უყურებს არაბი სპასპეტი კვდომის გარდაუვლობას და სიკვდილში დაეჭვებული კაცის სიჯაბანეს რაინდის სიმალლიდან გადმოსცქერის. არაბი მოყმის ანდერძში სიკვდილის არსობის ფორმულირებისა თუ ღირსეული ქცევის ახსნა-განმარტების სტრიქონები პირდაპირ პარალელს უნდა ქმნიდეს როსტევანის თათბირზე მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან. ავთანდილი სავაზიროში არ მოჩანს (შესაძლებელია იჯდა კიდეც, როგორც სპასპეტი), მაგრამ კარგად იცის, რა საკვანძო არგუმენტი გამოიყენა არაბმა მონარქმა თინათინის გამეფებისას (მეხსიერებაში გიორგი III-ის მიერ თამარის თანამოსაყდრედ დასმის ფაქტი იღვიძებს) და თუ იქ, თათბირზე,

სიკვდილზე ჩვილს დაუსწრებლობის ან კრძალვა-შიშის გამო ვერ გასცა პასუხი, ანდერძით გადაუხადა საზღაური.

და კიდევ... როსტევანი თინათინის გამეფების თათბირს „ამო საუბნარით“ იწყებს. ეტყობა, რომ მჭევრმეტყველებაში დიდი გამოცდილება აქვს. საამო სიტყვებით აპარებს საკუთარ ვაზირებს „ტურფა საბაღნაროდან“ წასვლას, ვარდის ყვავილის გახმობა-დაჭკნობით ცდილობს თვალის ახვევას და ჯერ ისევ ტახტზე მჯდომი სრულიად გაურკვეველ მეტაფორებს იშველიებს – „მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭკრეტთ ღამესა უმთენაროსა“ [14,35]. რა მზის ჩასვენებასა და გაუთენებელ ღამეზეა ლაპარაკი?! ასეთი მხატვრული ქათინაური ხომ მხოლოდ მკვდარ კაცს შეიძლება მიესადაგოს, ისიც, ალბათ, მხოლოდ ურწმუნო-უღვთოს. როსტევანს თავისი სავაზირო ან შეცდომაში შეჰყავს, ან სულგალეული მონები სხედან დარბაზში და ამ ვითარებაში განა რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვის, მაინც ხომ დაუქნევენ თავებს. ვგონებ, როსტევანი თავიდანვე ისეა დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში, რომ თათბირის დაწყებამდე მშვიდად გამოიყურება („ზის ლალი და წყნარია“). მის წინადადებას თინათინის გამეფების თაობაზე ვაზირთა ქორო უპასუხებს. როგორ უყვარს რუსთველს ეს მრავლობითი რიცხვი, როცა ბრბოდქეულთა სახეებს ხატავს! დარბაზში არცერთი განსხვავებული აზრი არ მოჩანს („გვმართებს“, „ნუ ჰბრძანებთ“, „არ გათნევთ“ და მისთ.), ე.ი. საქმე გადაწყვეტილია... მაგრამ... ოჰ, ეს ვინ წუწუნებს საკუთარ სიბერესა თუ მკვდრადყოფნაზე, ის კაცი ხომ არა, რომელსაც არც ჯანის დაკლებისა ეტყობა რამე და არც მის მრისხანებას შეჰპარვია ჭკნობა, როცა მხატვრულ-პირობითადად ხანგრძლივი დროის, ანუ სამი წლის, შემდგომ სახლთუხუცეს ვაზირს გამძვინვარებული ზედიზედ უქნევს სკამებს (მრ.რ. — „სკამნი“; „ჰკრნა“ და „შეაღეწნა“ იგინი). როსტევანს სროლის ხელოვნებაში წუნი უნდა დავდოთ, რადგან მას არც ისრის მიზანში სროლა გამოსდის კარგად (ნადირობის სცენაში) და არც სკამებისა ემარჯვება, თუმცა მაინც ცდილობს, ალმასივით მჭრელი გამოდგეს ვაზირის დასასაჯელად შეტყორცნილი „იარაღები“:

„დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეაღეწნა;

დააცდუნნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა“ [149, 751].

ახლა ინდოელი მონარქის, ფარსადანის, რუსთველურად – „ბერი გამზრდელის“, ფარისევლობას და ტარიელისადმი მის დამოკიდებულებას დავაკვირდეთ. რა ურგებ სიცოცხლეზე („სიცოცხლე მარმეზინე“) საუბრობს იგი, როცა თავად მოაწყო საქმე ურგებად და მრუდედ. გამოტყდა, რომ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულზე ინფორმაციას ფლობდა და ხვარაზმშას უდანაშაულო სისხლის („სისხლი უბრალო“) გამო წაუყენა ბრალდება ამირსპასალარს. განა არ იცოდა ამ „ბრძენმა“ კაცმა, რომ მიზეზნი განაპირობებენ შედეგს, ხოლო ამ მიზეზთა სათავეში თავად იდგა. გარდა ამისა, სრულიად არათავსებადია მის მიერ ლიქნით წარმოთქმული სიტყვები

იმასთან, თუ როგორ იქცევა ის, როცა მკვლელობის შემდეგ „გახმამყივარებული“ იხმოვს ტარიელს, სასტიკი დასჯისთვის ემზადება. მოკლედ, ფარსადანის ბაგეთაგან ხან მლიქვნელობა-ცბიერება იცრება, ხან – დაუტევნელი მრისხანება. დავარს ემუქრება სიკვდილით და ტარიელს დაემძვს. ნათელია, ფარსადანს სარიდან მეფის ვაჟის მოხელთება რომ შეეძლოს, მოქმედების რეზულტატის წარმოსადგენად მკითხველს ფანტაზიის გაშლა ნამდვილად არ დასჭირდება...

მიჯნურობით სწეული ტარიელი უკვე გამოფხიზლებულია. ფარსადანი მას ტკბილსიტყვაობით ვეღარ აცდუნებს, მაგრამ, ვფიქრობთ, გამოფხიზლება ცოტა დაგვიანდა. პრეტენზიები სამეფო ტახტის დასაკავებლად მაშინ წამოუყენა ოდესღაც ინდოეთის მეშვიდედის მფლობელის ვაჟმა, როცა სამეფოს არა მხოლოდ „გარდაქარება“ დაემუქრა, არამედ პარტახი დაიწყო – თავად ქალაქში გამოიკეტა, ფარსადანი კი სასახლიდან მძვინვარებდა. ნესტანისა და ტარიელის თათბირიდან კარგად ჩანს, რა შეიძლება მოიტანოს სახელმწიფოს ორი უმადლესი პირის – მეფისა და ამირსპასალარის – გადაკიდებამ („შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!“: 109, 532). ნებისმიერ ქვეყანაში საშინაო პოლიტიკის ამგვარი სტატუს-კვო სახელმწიფოებრიობისა და ნაციის თვითმკვლელობაა. დ. გურამიშვილს მოვიშველიებთ დასტურად – საკუთარ ეპოქაში ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა შორის სამეფო ტახტისთვის ბრძოლა სრულიად მიუკერძოებლად შეაფასა შემდგომი ეპოქების დიდმა პოეტმა, რომელმაც ბრძანა – „თავის თავსა ხმალი იცეს, გულსა მოიხვედრეს ხიშტი“ (დ. გურამიშვილი). აქედან გამომდინარე, სამოქალაქო თუ პოლიტიკური დაპირისპირების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ველად არ შეიძლება აქციო შენი მამული, რადგან ეს ყოველთვის დარჩება მიუტევებელ შეცდომად. თითოეულმა მართლმოაზროვნე კაცმა იცის ეს ჭეშმარიტება, რუსთაველსაც გააზრებული ჭეშმარიტებისაკენ მივყავართ. სახელმწიფოებრივი საკითხები კერძო მნიშვნელობისა არ არის, რომ საკუთარ ვნებებსა და შეხედულებებს აჰყვე ადამიანი, ამიტომ ყურადსაღებია ნესტანის რჩევები, რომლებიც მიჯნურთა თათბირისას გაისმის:

„მიბრძანა, თუ: „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს“ [109, 532].

წუთისოფელი განცდებში ძირავს ადამიანს და ხშირად აკარვინებს სიმშვიდისა თუ გონით ჭვრეტის უნარს, საქვეყნო საქმეთა გადაწყვეტა კი მის გარეშე არ დაიშვება, ემოციებისაგან საგულდაგულოდ დაწურული გონი გაცილებით უკეთ მუშაობს. მეტიც, პრობლემა ზოგჯერ დედღურადაც („საქმე-დედღად“) უნდა გადაიჭრას, რადგან დიპლომატია სასარგებლო რამ არის. არც არაფერია სადავო ნესტანის დარიგებების ამ ნაწილში, უბრალოდ ჩვენ ის გვანტერესებს, რატომ არა აქვს თუნდაც სათარიგო გეგმა თავად ტარიელს ან რა ამბავია ეს რჩევა-დარიგებანი, გამიჯნურების ამბიდან

წამდაუწუმ რომ ვისმენთ. ნესტანის „ზღვის ჭიჭში“ გადაკარგვის შემდგომ ტარიელის მრჩევლის ფუნქცია პოემაში უკვე ავთანდილს დაეკისრება, ე.ი. გამოდის, რომ ჩვენს უცხო მოყმეს ძირითადად⁸¹ ორი გულითადი ვაზირი ჰყავს – ნესტანი და ავთანდილი. აშკარაა, რომ ამით რუსთველს რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელი გამოაქვს და იქნებ დემნა უფლისწულის მიერ დაშვებულ შეცდომებზეც მიგვანიშნებს.

სტეფანოზ ორბელიანის უწყებით, მამის გარდაცვალების შემდეგ დემნა უფლისწული აღსაზრდელად იოანე ორბელს გადაეცემა და „შემდგომად დღეთა მათ წარჩინებულ იყო ყრმა იგი სახლსა იოვანესსა და ისწავლიდა და აღორძინდებოდა“ (ორბელიანი, 1978: A, 41). იოვანე ორბელის საფეოდალო სახლში განისწავლება დავით V-ის არასრულწლოვანი პირმშო, იოანე ორბელი კი ძალოვანი მინისტრი და მეორე პირია ქვეყნისა. ის ამირსპასალარის ტიტულს ისევე ფლობს, როგორც ტკბილხმოვანად გაწყობილ პოემაში სარიდანის, მამის სიკვდილის შემდეგ კი – ტარიელი. ისტორიულ ფაქტთა და პოემაში განვითარებულ მოვლენათა პარალელიზმი, ვფიქრობთ, რომ აშკარაა და მნიშვნელოვან სიგნალებს იძლევა. რეალურ სახეთა კონტურები თანდათანობით ჩნდება და თანაც ისე, რომ ამირბარობა-ამირსპასალარობა საგანგაშო მოჩანს. სამეფო ტახტისთვის ბრძოლის გზაზე ჩვენ წინაშე სწორედ ასე იკვეთება ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკი – გიორგი III-ისა და იოანე ორბელისა, პოემაში კი – ფარსადანისა და ტარიელისა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მეცნიერული ძიება ამ მიმართულებით მიჰყვება ლოგიკას, ეს მიმართულება კი სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი სულაც არ არის (წერედიანი 2014; ჭილაძე 2014 და სხვ.). ისტორიული და ლიტერატურული ფაქტებია ის, რომ გიორგი-ფარსადანი თვითმპყრობელი მეფეა, ხოლო ამირსპასალარის ოჯახში აღზრდილი დემნა-ტარიელი მეფისაგან (/ზიძისაგან) მოტყუებული ყმაწვილკაცი, რომელიც სრულწლოვანების ასაკშიუწევნელი ვერც კი აცნობიერებს მეფის ჩანაფიქრის სიმუხთლეს.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური ფარდაგი საკმაოდ ჭრელია, თუმცა ვირტუალურად შესრულებული. მრავლად რჩება სათქმელი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ პოემის მთლიან ქსოვილში ნაწილ-ნაწილ მაინც იხატება მთელს დაქვემდებარებული რუსთველური კონცეპტები, ამ კოტექსტში კი სიბერის თემა თუ ინდოეთისა და არაბეთის მეფეთა მიერ გამოყენებული „ბერობის“ არგუმენტი ერთ-ერთი უნდა იყოს და მაღალი ალბათობით გიორგი III-ის მიერ საკუთარ სიცოცხლეშივე ქალის გამეფების რეალობასთან მას რაღაც მნიშვნელოვანი კავშირი უნდა ჰქონდეს.

⁸¹ შენიშვნა: თუ არ ჩავთვლით ინდო-ხატაელთა ბრძოლის წინ ვაზირთა რჩევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1967: – აბულაძე იუ., რუსთველოლოგიური ნაშრომები, ი. მეგრელიძის გამოცემა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1967.

გამსახურდია, 1991: – გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

ვეფხისტყაოსანი, 1966: – რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“ (მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.

კეკელიძე, ბარამიძე, 1987: – კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987.

ლაშა გიორგის მემატიაძე, 1955: – ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიაძე, „ქართლის ცხოვრება“ (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), I, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1955, გვ. 364-371.

მროველი, 1955: – მროველი ლეონტი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1955, გვ. 3-138.

ორბელიანი, 1978: – ორბელიანი სტ., „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, საქართველოს ისტორიის წყაროები, IV (ე. ცაგარეიშვილის გამოცემა), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.

სურგულაძე, 1995: – სურგულაძე მ., ბაგრატიონთა სამეფო სახლი, ტაბულები შედგენილია მ. სურგულაძისა და მ. ქავთარიას მიერ, გამომცემლობა „კანდელი“, თბილისი, 1995.

წერედიანი, 2014: – წერედიანი დ., „ესე ამბავი სპარსული“, კრ.: „ანარეკლი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ. 7-27.

ჭილაძე, 2014: – ჭილაძე თ., „ვარდის ფურცლობის ნიშანი“, კრ.: „უკვდავების ათინათი“ (წერილები, ესეები), რედ. ზ. კვარაცხელია, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2014, გვ. 42-201.